| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 4 თებერვალს.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



ქართული თეატრი
პარასკევს, 3 თებერვალს
ბენეფისი
მ. მ. საფაროვისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად

**ისპანიელი აზნაური**

(დონ სეზარ დე-ბაზან)

კომ. 5 მოქმ., გად. ა. ი.

II

კაცის ღონეს ქალის ხერხი სჯობია,

ვოდ. 1 მოქმ. გადმ. მ. საფაროვისა.

**მოთამაშენი:** ქ-ნნი საფაროვისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, აწყურელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.


ტფილისი, 1 თებერვალი

ამ ბოლო ხანებში გავრცელდა ხმა, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ განზრახვა აქვს ამ წლის მარტის თთვეში გადაიხადოს დღეობა თავისის ათის წლის მოღვაწეობისა. დაბეჯითებით არ ვიცით, გადაიხდის თუ არა ხსენებული საზოგადოება დღეობას და თუ გადაიხდის, როგორ იდღესასწაულებს თავისს ათის წლის მოღვაწეობას, ხოლო ის-კი ნამდვილია, რომ ქართველობა დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ ხმას. სხვადა-სხვა ადგილიდგან ჩვენ მივიღეთ წერილები და გვკითხავენ, თუ როგორ უნდა მივეგებნეთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ დღეობას, რითი აღვბეჭდოთ ამ საშვილიშვილო დაწესებულების ათის წლის მოღვაწეობა და რითი დავუმტკიცოთ ჩვენი თანაგრძნობაო.

ეს ამბავი მეტის-მეტად სასიამოვნოა. სჩანს, რომ რაც დღე მიდის, ქართველობა უფრო და უფრო თვალ-ყურს ადევნებს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და თანდათან მეტს თანაგრძნობას იჩენს. სჩანს, დაწინაურებული ქართველობა გრძნობს, რომ «წერა-კითხვის საზოგადოება» ემსახურება წმინდა საშვილიშვილო საქმეს და რომ ამ საქმის წარმატება მოასწავებს ქართველთა გონებრივს წარმატებას.

ამიტომაც ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის მიეგებნენ ქართველნი ასეთის თანაგრძნობით დღეობის გადახდის ამბავს. დიაღ, ეგეთი მიგებება ყოვლად პატივსაცემია და ქართველობა კიდეც მოვალეა ეს დღეობა გადაიხადოს და საქმით დაუმტკიცოს „საზოგადოებას“ თავისი თანაგრძნობა. მაშ როგორ უნდა მიეგებნენ „საზოგადოების“ ათის წლის მოღვაწეობის დასრულებას?

რაკი „წერა-კითხვის საზოგადოება“ ემსახურება მაღალსა და წმინდა საგანს ჩვენის გონებრივის წარმატებისას, ამიტომ, ვისაც უნდა იდღესასწაულოს ამ საზოგადოების ათის წლის მოღვაწეობა, შესაფერად უნდა მიეგებოს დღეობას და უნდა დაამტკიცოს, რომ გულ-წრფელად თანაუგრძნობს „საზოგადოებას“, მზად არის ხელი მოუმართოს და ქვეყანას უჩვენოს, რომ სიტყვითაცა და საქმითაც ემსახურება იმავე საგანს, რა საგანიც „წერა-კითხვის საზოგადოებას“ უტვირთნია.

საუკეთესოდ დღეობის გადახდა ის იქნება, თუ რომ განათლებულნი ქართველნი ეცდებიან მეტი თანაგრძნობა მოუპოვონ «საზოგადოებას» ქართველობაში, მეტი დამხმარე და მოკეთე შესძინონ და ეს ხომ საყოველთაო ვალდებულებაა განათლებულის ქართველის კაცისა. რაც შეეხება „საზოგადოების“ ათის წლის მოღვაწეობის შესაფერად მოხსენებას, რაკი სურვილი აქვსთ დღეობა გადაიხადონ, კარგი იქნება საზოგადოებას ხელი მოუმართონ წიგნების შემოწირვით, კონცერტებისა, წარმოდგენებისა და სალიტერატურო საღამოების გამართვით. სხვა ბევრი საშუალებაა, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთი დავასახელეთ. ამ სახით ქართველობა შესაფერად და სასახელოდ მოიხსენიებს საზოგადოების ათის წლის მოღვაწეობას და თავისს სრულს თანაგრძნობას დაამტკიცებს. ის საშუალება, რომელიც ჩვენ დავასახელეთ, კიდეც შეჰფერის იმ მაღალს საგანს, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოება“ ემსახურება.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ვისაც მართლა უნდა რითიმე აღბეჭდოს თავისი თანაგრძნობა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიმართ, იმ მცირე შრომას არ შეუშინდება, რომელიც საჭიროა კონცერტებისა, წარმოდგენებისა და სხვათა გამართვისათვის და კიდევაც შეიწყნარებს ჩვენ მიერ აღნიშნულს საშუალებას.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ხვალ, პარასკევს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენი ნიჭიერის არტისტის-ქალის, საფაროვი აბაშიძისა. წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა: „ისპანიელი აზნაური“—კომედია 5 მოქმედებად და ვოდევილი, თვით მობენეფისესაგან გადმოღებული: „კაცის ღონეს ქალის ხერხი სჯობია“. პირველი პიესა ბევრჯელ ყოფილა წარმოდგენილი სხვა სცენებზე და ქართულად-კი ხვალ პირველად იქნება ნათამაშევი. უმთავრესს როლებს აასრულებენ, მობენეფისეს გარდა, **ბ. ბ.** აბაშიძე და ყიფიანი.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ, როგორც შევიტყეთ, გამართული იქნება ბალი „კრუჟოკში“, ყველიერის პარასკევს, 17 თებერვალს.

*** ბ-ნს ალექსი მირიანაშვილს შეუდგენია ყმაწვილებისათვის საკითხავი წიგნი „პატარა მოამბე“. წიგნში თექვსმეტამდე პატარ-პატარა ამბებია მოთავსებული. ამათში ორი ხალხში გაუგონია ავტორს, ერთი „ქილილა და დამანიდამ“ გადმოუკეთებია და დანარჩენი-კი თითონ შეუდგენია. ავტორს განზრახვა აქვს ეს წიგნაკი სურათებით გამოსცეს.

*** ბ-ნ მიხეილ ზაალის ძემ ყიფიანმა შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს ორი ცალი წიგნისა: **«Отъ Казбека до Эльбруса. Путевыя замѣтки о нагорной полосѣ Терской области»**.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უცხადებს შემომწირველს.

*** ქ-ნ. ანასტასია მიხეილის ასულს თუმანიშვილისას გადმოუღია ფრანგულიდამ კომედია გამოჩენილის მწერლის ლაბიშისა და ამ ახლო ხანებში, როგორც შევიტყეთ, ამ პიესის დადგმას უკვე აპირებს ჩვენს სცენაზე დრამატიული საზოგადოება. კომედიას სახელად ჰქვიან: „ჯერ თავო და თავოო“.

# ფელეტონი

## ზადიგი*)

### VIII

### იჭვი

ზადიგს თავისმავე ბედნიერებამ და წარჩინებულებამ შეამთხვია უბედურება. ყოველ დღე იგი ბაასობდა და მასლაათობდა მეფესთანა და დედოფალ ასტარტასთან. ყმაწვილი კაცი მით უფრო ლამაზადა ჰლაპარაკობდა, რომ უნდოდა თავი მოეწონებინა, და ასეთი სურვილი ხომ ისევე ამშვენიერებს ჭკუას, როგორც კაი ტანისამოსი სილამაზეს. ყმაწვილის კაცის სილამაზემა და სიჭაბუკემ შეუმჩნევლად ისეთი მოქმედება იქონია ასტარტაზე, რომ პირველში ვერავინ შენიშნა, თვით დედოფალმაც-კი. ასტარტა გაუფრთხილებლად ჰსიამოვნებდა იმ კაცის ნახვით, რომელიც ქმარსაც ერჩივნა და მთელს სახელმწიფოსაც. დედოფალი ხშირად ჩამოუგდებდა ხოლმე ზადიგზე ლაპარაკს სასახლის ქალებს და ისინიც აქებდნენ, დედოფლის გატაცებას ხელს უმართავდნენ და გზას უკვალავდნენ. ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ უფრო ძალიან უნდა ჩასჭდეოდა დედოფალს ის გრძნობა, რომელსაც თითონაც ვერ არჩევდა. ასტარტა საჩუქრებს აძლევდა ზადიგს და ამ დროს თავისდა შეუმჩნევლად ისეთის ალერსით ექცეოდა რომ, თითონაც რომ ეგრძნო, შეჰზარავდა. იმას ეგონა, რომ დედოფლის ღირსებით ველაპარაკები ერთგულს მონასაო, მაგრამ ეს ლაპარაკი მეტად ნაზი, მეტად მგრძნობიერი იყო.

ასტარტა ბევრად მშვენიერი იყო სემირაზედ, ცალ-თვალიანი რომ სძულდა, და მეორე ქალზედაც, რომელსაც ქმრისთვის ცხვირი უნდოდა მოეჭრა. ასტარტას ტკბილმა და ნაზმა ლაპარაკმა, მორცხვობამ ბაასისა და ლაპარაკის დროს ზადიგის გულში ცეცხლი აანთო, ის ცეცხლი, რომელსაც თითონაც უფრთხოდა. ზადიგმა თავს ბრძოლა დაუწყო, ფილოსოფია მოიწოდა მწედ, ის ფილოსოფია, რომელიც ყოველთვის ჰშველოდა და გაჭირებიდამ იხსნიდა, მაგრამ არა ეშველა-რა: ფილოსოფიამ ტვირთი დაანახვა და კი ვერ შეუმსუბუქა. მოვალეობა, მადლობა, სამეფო უფლების შეურაცხყოფა თვალ წინ უდგა ყმაწვილს კაცს შურის-ძიების ღმერთსავით. იგი იბრძოდა, სძლევდა კიდეც ხოლმე, მაგრამ ეს ძლევა ბევრ ტანჯვად და ცრემლად უჯდა. იგი ველარა ჰბედავდა და დედოფალს იმ სასიამოვნო თავისუფლებით ველარ ელაპარაკებოდა, რომელიც ისე მოსწონდათ ორივეს; თვალთ უბნელდებოდა, ლაპარაკს ველარ ახერხებდა და გადასცემ-გადმოსცემდა. როცა თავისდა უნებურად ერთმანეთს შეჰხედავდნენ, ჰხედავდა, რომ ასტარტას თვალები ცრემლითა ჰქონდა სავსე და სიყვარულითა და ვნებით უბრწყინავდა. ამ დროს ისინი თითქმის ამას ეუბნებოდნენ ერთმანეთს უხმოდ, უსიტყვოდ: ჩვენ თაყვანს ვსცემთ ურთიერთს და სიყვარულს-კი ვერა ვბედავთ; ორივენი ვიწვით იმ ცეცხლით, რომელსაც ვერიდებით და შორს გავურბითო.

ზადიგი დედოფლისაგან აღელვებული, აღშფოთებული და გულდაკოდილი გამოდიოდა. მწუხარებით სავსემ მან გაუმხილა და გაუზიარა თავისი საიდუმლო თავისს მეგობარს კადორს, ველარ აიტანა იმ ადამიანსავით, რომელსაც ტკივილი აწუხებს, თავ-ბედის დამწყევლელის სიმწვავით ჰქირის ოფლს ასხამს და მხოლოდ კვნესითა და გმინვით-ღა აცხადებს ამ ყოფას.

კადორმა უთხრა:

— დიდი ხანია გატყობდი და გამჩნევდი იმას, რის დამალვაც გეწადა. ვნებათა ღელვას ზოგიერთი ისეთი ნიშანი აქვს, რომ აშკარად იმჟღავნებს თავს. ძნელად საფიქრებელია, რომ მეფემ არ შენიშნოს ეგ თავისი შეურაცხმყოფელი გრძნობა. ჩვენს მეფეს ერთად-ერთი ნაკლი აქვს და ეს ნაკლი ის არის, რომ ყველაზედ ეჭვიანესია. წინა აღუდეგი გულისთქმას უფრო მეტად, ვიდრე დედოფალი ებრძვის, იმიტომ-რომ ჯერ ფილოსოფოსი ხარ და მერე ზადიგი. ასტარტა დედაკაცია; იგი თავისის ქცევით უფრო დიდს სიყვარულს გიქადის, ვიდრე თითონ ჰგრძნობს. საუბედუროდ, რაკი დარწმუნებულია თავისს სიმართლესა და უბიწოებაში, გარეგნად არცა ჰფრთხილობს. გულიდგან შიშს ვერ განვიშორებ იმ დრომდე, ვიდრე დანაშაულს არ ჩაიდენთ. პირობა რომ შეგეკრათ და მოჰლაპარაკებოდით ერთმანეთს, ადვილად მოატყუებდით და თვალს აუბამდით ყველას. ადამიანის გულში ახლად ჩასახული და უარ-ყოფილი ვნება ადვილად იჩენს თავს, ხოლო დაკმაყოფილებული სიყვარული-კი კარგად იფარავს.

ზადიგი აალაპლაპა იმ აზრმა, რომ როგორ უნდა ვუღალატო მეფეს, ჩემს კეთილის-მყოფელსაო. იგი არას დროს არა ყოფილა ისეთი ერთგული თავისის მეფისა, როგორიც იმ წუთს იყო, როცა თავისს თავს უნებურს დანაშაულსა სწამებდა.

ამასობაში დედოფალი ზადიგითა ჰბოდავდა, ხშირად ახსენებდა იმისს სახელს და წითლდებოდა და ყვითლდებოდა ხოლმე; ხან მორცხვად თავსა ჰღუნავდა, თუ მეფის იქ ყოფნის დროს ებაასებოდა ზადიგს, და იმის წასვლის შემდეგ-კი ხშირად დაფიქრდებოდა და ოცნება გაიტაცებდა ხოლმე. ამ გარემოებამ სულთანს ყურები აცქვეტინა: იგი ნანახსა ჰსჯიდა და უნახავს თვალ წინ იდგენდა. განსაკუთრებით ის შენიშნა, რომ როცა იმისს მეუღლეს ცის-ფერი ქოშები ეცვა, ზადიგიც ამ ფერისას იცვამდა; თუ სულთანის მეუღლეს ყვითელი კაბა ეცვა, ყმაწვილი კაციც ყვითელს ფასს იხურავდა. ამ ნიშნებით გაბო-

*) იხ. „ივერია“ №№ 12, 14 და 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ამ თთვის 25-ს სუჯუნელმა გლეხმა ჯინორიამ სოფლის მამასახლისს გამოუცხადა, რომ ნოსირელმა გლეხმა სოლომონ სახოკიამ მთხოვა: ებრაელების მანუფაქტურის საწყობს (სუჯუნაშია) და კანტორას მიმასწავლეო; მე მყავს სახლების გატეხაში ძლიერ დახელოვნებული ამხანაგები, მათ თან წამოვიყვან და რასაც გამოვიტანთ, საქონელს, თუ ფულს, შენ გიზიარებთო. ზემოხსენებულ ჯინორიას მამასახლისი საჩუქარს შეჰპირდა, თუ-კი საბუთებით დაიჭერინებდა მას. მეორე დღეს ჯინორიამ უთხრა მამასახლისს, რომ ამ თთვის 28-ს ნაშუალამევს მოვალ ავაზაკებითურთდა შენ-კი თავდარიგი იქონიეო. მამასახლისმაც 30-მდე ყარაული ჩააყენა დაბა სუჯუნაში. ნამდვილად იმ ღამეს, ნაშუალამევის სამს საათზე, მოსულან ავაზაკები ჯინორიათურთ, და ხიდთან მიმალულან, რადგანაც ჯერ ადრე ყოფილა, ერთ მათგანს შეუნიშნავს ვილაც კაცი ქუჩაზე (თურმე სოფლის მოხელე ათვალიერებდა ყარაულებს, დგანან თავ-თავის ადგილას თუ არაო). ავაზაკები ჯინორიას მვარდნენ, შენ გვიღალატეო და დარჩობა დაუპირეს, მაგრამ მან ფიცით დააჯერა, რომ მე ამ საქმეში არ ვურევივარო.

ავაზაკები უკან დაბრუნდნენ. ამ დროს ორი ყარაული წინ შეეჩეხა მათ და დაუყვირა: ვინა ხართო; ავაზაკებმა პასუხის მაგიერ ზოგმა თოფისა და ზოგმა დამბახის სროლა დაიწყეს. ყარაულებმაც რამდენჯერმე ესროლეს, მაგრამ ვერ მოახვედრეს ყაჩაღებს. ყაჩაღები გაიქცნენ, მხოლოდ ერთს მათგანს ნაბადი დარჩა.

ავაზაკი ყოფილა ოთხი, ოთხივე კარგად შეიარაღებული. ყველა მათგანს ჰქონია თითო „ბერდენა“ და რამდენიმე „პატრონა“.

მეორე დღეს აბაშის განყოფილების ბოქაულის თ. აბაშიძის განკარგულებით შეპყრობილ იქმნა ნოსირში გლეხი სოლომონ სახოკია, რომელმაც თურმე აღიარა თავისი დანაშაული.

ამბობენ, დანარჩენ სამს ყაჩაღში ორი დიდის ხნიდამ გვარდნილი გურული ყაჩაღიაო და მესამე-კი მეგრელიაო.

*** იქიდამვე: სუჯუნას ახლოსოფ. ეწერში გაჩნდა ყვავილი და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა კიდეც.

*** თელავი: თელავის საპყრობილეს, სადაც გამოულეველი იყო 50—150 ტუსაღი, დღემდე არა ჰქონდა არა თუ „წიგნთ-საკითხავი“, არამედ ერთი ანბანიც არ მოიპოვებოდა. ამოდენა თავისუფლებას მოკლებული ხალხი სრულიად უსაქმოდ იყო ოთხკედელ შუა გამომწყვდეული. ვინ იცის, როდემდე გასტანდა ამ საცოდავების ასეთი მდგომარეობა, რომ ამ საპყრობილეს ზედამხედველად არ დაენიშნათ ბ-ნი ვასილ ხახუტაშვილი, რომელიც თანამდებობის მიღებისათანავე შეუდგა ამ სატუსაღოს ყოველის მხრივ გაუკეთესებას და დაიწყო ზრუნვა „წიგნთ საცავზედაც“. იმან მოაგროვა კერძოდ რამდენიმე წიგნი სამუდამო „წიგნთ-საკითხავის“ დასაარსებლად, ითავა და მისცა თხოვნა, სადაც ჯერ იყო, რათა დაემტკიცებინათ ოფიციალურად თელავის საპყრობილეს წიგნთ-საკითხავი. აგრეთვე თელავის საპყრობილეს კომიტეტმა გაუგზავნა თხოვნა მისს ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს და სთხოვა წიგნთ-საცავის გამგეთ დაენიშნათ ბლაღოჩინი მღ. მ. ხელაშვილი, რომელმაც წერა-კითხვა უნდა ასწავლოს ტუსაღებს. ორსავე თხოვნაზე კომიტეტმა მიიღო ნება რთვა და სრული თანხმობა და 23 ამ თთვისას მ. ხელაშვილი შეუდგა ამ ახალს საქმეს.

*** არტაანუჯი: ჩვენსკენ დიდი ზამთარია. გზები სრულიად შეიკრა. ქვეყანას მოვწყდით და მისვლა მოსვლა აღარსაით აღარ შეგვიძლიან. არტაანსა და ბათუმში მისვლას დაენატრულდით. იქაურებიც, სამი კვირაა, არ გვინახავს. არტაანისა და არტანუჯის გზა მეტად ძნელი სავალია საზოგადოდ და მეტადრე ზამთარში. ამ გზაზე წელს დააარსეს ორი მგზავრთა-მხსნელი სახლი. ამ სახლებში დააყენეს კაცები, დაუნიშნეს ჯამაგირი და დაავალეს, რომ გაჭირებულს მგზავრებს ყური უგდეთ, ზვავებისა და ნამქერისაგან ჩაჩუმქრილებს მოუარეთ და სიკვდილს გადაარჩინეთო. მაგრამ წრევანდელმა სუსხიანმა და სასტიკმა ზამთარმა თვით ეს კაცები ჩააგდო გაჭირებაში. თოვლმა და ზვავმა შეჰკრა გზები და უსაგზლოდ დასტოვა, ასე რომ სხვისა მაზიარებელნი კინაღამ უზიარებელნი დაიხოცნენ. მაინც სოფელი რომ არ მოსულიყო გონს, არ გაეხსენებინა იმ კაცების უსაგზლობა და გაჭირებული მდგომარეობა, ისინი სიმშილისაგან ერთმანეთს დასჭამდნენ.

*** იქიდამვე: ჩვენსკენ ამ ცოტას ხანში ორი მოკლული კაცი იპოვეს გზაზედ. მკვლელები ვერ აღმოუჩენიათ. მოკლულნი ვერ გაიცნეს, ვინ იყვნენ და დაამარხვინეს ქრისტიანულის წესის აუგებლად. მხოლოდ მერე, როცა მოკლულთა ტანისამოსი ჩამოიტანეს არტანუჯში, აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი კათოლიკე იყო. პატრონებმა ამოაღებინეს უწესოდ დამარხული და ხელ-მეორედ მიაბარეს მიწას წესისა და ანდერძის აგებით.

## რუსეთი

განზრახვა აქვსთ, რომ დააარსონ განსაკუთრებული ინსტიტუტი, სადაც ქალებს მკურნალობის შესწავლა შეეძლებათ. ამ ინსტიტუტში ნასწავლ ქალებს უფლება მიეცემათ სწამლობდნენ დედათა და ბავშვებს.

— ამ ახლო ხანებში დაკანონებული იქმნება, რომ ყველა უმაღლესს სპეციალურ სასწავლებელშიაც შემოღებულ იქმნას სახელმწიფო ეგზამენი, უნივერსიტეტებში უკვე შემოღებული. ამ ეგზამენებზედ დაესწრებიან საერო განათლების სამინისტროსი და იმ სამინისტროთა წევრნი, რომლის უწყებასაც ეკუთვნება სპეციალური სასწავლებელი.

— გერმანულს გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ განზრახვა აქვსთ დერპტის უნივერსიტეტი დაჰკეტონ და ახალი რუსული უნივერსიტეტი დააარსონ ვილნაშიო. ეხლა „Leipziger Zeitung“-ი ამბობს, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია საერო განათლების სამინისტროში და დერპტში მარტო ლიცეია და ობსერვატორია-ღა იქმნებაო.

— პოლშელთა გარდაცვალებულმა მწერალმა კრაშევსკიმ სიკვდილის შემდეგ ნაღდი ფული დასტოვა 92,000 მანათი, ძვირფასი სურათები, წიგნთ-საცავი, რომელშიაც 40,000 წიგნია, და დიდ-ძალი ხელ-ნაწერები. ამ ხელნაწერთა შეძენა განუზრახავს საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავს პეტერბურგისას. ნაღდი ფული რჩება ქვრივსა მწერლისას, ორს ვაჟიშვილს და ორსაც ქალიშვილს. კრაშევსკის ქვრივი სცხოვრებს ვისლის განაპირა ქვეყნებს თავისს მამულში და ერთი ვაჟიშვილთაგანი-კი პარიჟშია, ხუროთმოძღვარობს და ლიტერატურას მისდევს.

— სარატოვში 10 იანვარს ჯარის ბეგრის გადამხდელ კომისიისთვის წარუდგენიათ ერთი საოცარი ჯუჯა და ქონდრის კაცი, რომელიც დაჰმალვია კომისიას და ჯარში გაყვანის ბეგარას გაჰქცევია. ეს კაცი 21 წლისაა, ერთი ადლი სიმაღლე აქვს, ძლივს დადის და არაფერს, ჰლაპარაკობს. თავსა და სახეზედ ეტყობა, რომ მხცოვანი უნდა იყოს, ხოლო პირუტყვული, უსიცოცხლო გამომეტყველება აქვს. ეს ადამიანი სარატოვის მოქალაქეა, გვარად სლიოზკინი, და დედას მოუყვანია წრიაპებით. სლიოზკინი კომისიის დავთარში ჩაუწერიათ და გაუნთავისუფლებიათ.

— თუ ბულანჟეს პარიჟში ისეთივე მომხრეები და თაყვანის-მცემლები ჰყავს, როგორიც პეტერბურგში ჰყოლია, იმისი საქმე საბოლოვოდ ძალიან ჭანდრაკულად უნდა იყოს და თავისის საქმეს გამარჯვებას უკაცრავად უნდა დარჩეს. აი როგორი თაყვანის-მცემელი ჰყოლია რუსეთის სამეფო ქალაქში ამ სამსახურიდგან პანჩურ ამოკრულს გენერალს: პეტერბურგის ერთს სასტუმროში ამას წინად მოუყრიათ თავი მოქეიფეთ.

„— დავლიოთ, ყმაწვილებო, ბულანჟეს სადღეგრძელოვო!—უთქვამს ერთს და ყველანი ალტაცებაში მოსულან. ბულანჟეს არჩევანში გამარჯვებისათვის ბევრი უსვამთ.

„— იცით-რა, ბატონებო, მოდით, მისალოცი დეპეშა გავუგზავნოთ ბულანჟეს!—უთქვამს მეორეს.

„— ძალიან კარგი!

„— მშვენიერია!

„— უკეთესი არა იქნება-რა!

„— სწორეთ, სწორეთ ეგრე უნდა მოვიქცეთო! დაუწყიათ ძახილი.

შეუდგენიათ მაშინვე დეპეშა და გაუგზავნიათ პარიჟში გენერლის სახელობაზედ. ამავე დროს ბულანჟელებს საპასუხო დეპეშის ფულიც გადაუხდიათ (!).

მეორე დღეს იმავე სასტუმროში შეკრებილან იმ აზრით, რომ პასუხს მივიღებთ გენერლისაგანაო, მაგრამ ამაოდ, არა მოუღიათ-რა.

ამით უმადურ ბულანჟელებს თავისის ვითომ-და სათაყვანებელ კერპისთვის ერთს წუთს უღალატნიათ და ერთ-ხმად შეუძახნიათ.

„— მაშ მოდით, ყმაწვილებო, და იმისი გამოჯავრებული ბისმარკი ვადღეგრძელოთო!

და მართლაც ბულანჟეს ჯიბრით მთელი ეს მოქეიფენი კარგა შუაღამემდე მსხდარან და ბისმარკის სადღეგრძელო უსვამთ.

აბა «მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო», ეს არის, აი!..

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ვენის გაზეთებს კიდეც ეხატრებათ და კიდეც ერიდებათ მგლოვიარე იმპერატორის ფრანციოსებისა და ამიტომ ბევრს ვერაფერსა სწერენ პრინც როდოლფის გარდაცვალების გამო. სამაგიეროდ ვენელი კორრესპონდენტები ფრანგულ და ინგლისურ გაზეთებისა არასა ჰმალავენ და ყოველ გვარ მითქმა-მოთქმას ვრცლად უამბობენ თავიანთ გაზეთების მკითხველებს. ფრანგულ გაზე-

---

როტებულს მეფეს იჭვი რწმენად გადექცა.

მეფე-დედოფლის ყმა ამავე დროს იმათი ჯაშუშიც არის. ჩქარა გავარდა ხმა, რომ ასტარტას სხვა უყვარს და სულთანი იჭვიანიაო. შურიანმა თავისს გულ-ღრძო ცოლს მეფესთან გააგზავნინა ის წევ-საკრავი, რომელიც დედოფლისასა ჰგვანდა.

საუბედუროდ, ეს წევ საკრავიც ცის-ფერი იყო. სულთანი ეხლა მარტო იმას-ღა ჰფიქრობდა, რომ შური ეძია, მაგიერი გადეხადნა. გადასწყვიტა, რომ ერთს ღამეს მოეწამლა ვინებინა დედოფალი და იმავე დილას ზადიგიც დაერჩობინებინა. ეს საქმე აკისრებინა შეუბრალებელს საჭურისს, რომელიც ამისთანებში მარჯვე და ოსტატი კაცი იყო. სულთანის ოთახში იყო ამ დროს ერთი პაწია და ჯუჯა ადამიანი, ქონდრის კაცი, მუნჯი, მაგრამ ყრუ-კი არა. ეს მუნჯი ყოველთვის ებრალებოდათ, არ ერიდებოდნენ, მოწამე იყო და დამსწრე ყველა საიდუმლო მოქმედებისა, იგი ძალიან ერთგული იყო დედოფლისა და ზადიგისა. მან უფრო გაკვირვებით მოისმინა ზადიგის სიკვდილის განკარგულება, ვიდრე შიშით. როგორ შეეტყობინებინა დედოფლისათვის ამ საშინელ სასჯელის ამბავი, როცა სულ რამდენიმე საათი დრო-ღა ჰქონდა? წერა არ იცოდა, მაგრამ ხატვა ეხერხებოდა და ძალიან მარჯვედაცა ჰხატავდა. მუნჯმა მთელი ღამე იმისს ხატვაში გაატარა, რაც დედოფლისათვის უნდა ეუწყებინა.

სურათის ერთს მხარეს დახატული იყო გამძვინვარებული მეფე, რომელიც საჭურისს რაღაც ბრძანებას აძლევდა; სტოლზედ იდვა ცის-ფერი ბაწარი და ფიალა, იქვე იყო ცის-ფერი წევ საკრავი; ოთახის შუა-გულს დედოფალი სულსა ჰლევდა და გარს ეხვივნენ სასახლის ქალები; დამრჩვალი ზადიგიც იქვე ეგდო. ცისკიდური ოდნავ განათებული იყო ამომავალის მზით, იმის საჩვენებლად, რომ ეს საშინელი ამბავი განთიადისას მოხდებაო. გაათავა თუ არა მუნჯმა ეს სურათი გაიქცა ასტარტას ერთ სეფექალთან და ხელის ნიშნებით გააგებინა, რომ ეს სურათი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს დედოფალსაო.

შუაღამე იყო, როცა ზადიგს კარები დაურაკუნეს და დედოფლის ბარათი გადასცეს. ყმაწვილი კაცი ეჭვში შევიდა, სიზმრად მეჩვენება ეს ამბავი, თუ ცხადიაო, და გახსნა აკანკალებულისა და აცახცახებულის ხელით ბარათი ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაოცდა და შეჰზარდა, როცა შემდეგი სიტყვები ამოიკითხა: „თავს უშველეთ ამ წუთას, სიკვდილს გიპირებენ! თუ ჩემი თხოვნა არ გასჭრის, გიბრძანებთ: თავს უშველეთ, ჩემის სიყვარულის მცირეოდენი ხათრი თუ გაქვსთ მაინც. ბრალი არაფერი მიმიძღვის სულთანის წინაშე, მაგრამ ვგრძნობ-კი, რომ ისე დავლევ სულს, ვითარცა დამნაშავე“.

ზადიგს აღარა უთქვამს-რა, კრიჭა შეეკრა. დაიბარა კადორი და ხმის ამოუღებლივ გადასცა დედოფლისაგან მიღებული ბარათი. კადორმა დაარწმუნა, რომ დედოფლის სურვილს არ უნდა აღუდგე წინა და ეხლავე უნდა გაეშურო მეფისისაკენაო.

— თუ ეხლა დედოფალთან წახვალ, უფრო გააუბედურებ და საქმეს წაახდენ, უთხრა მან: თუ მე ფესთან მოიწადინებ თავის მართლებას, უფრო მეტად დაჰღუპავ. მე თვით ვიზრუნავ დედოფლისათვის; შენ შენს თავს გაუფრთხილდი. ხმას დავაგდებ, რომ ზადიგი ინდოეთისკენ გაიქცა-მეთქი. ჩქარა გნახავ და ყველაფერს გიამბობ რაც ამბავი მოხდება ბაბილონში.

კადორმა მაშინვე მოამზადა სამგზავროდ საიდუმლო კარებთან ორი აქლემი, ერთზედ შესვა ცოცხალ-მკვდარი ზადიგი, რომელსაც ფეხები ძლივს-ღა დაჰქონდა, და თანვე გააყოლა მსახური. ცოტახანს შემდეგ დარდითა და გაოცებით სავსე კადორს თვალთაგან მიეფარა მეგობარი.

ლტოლვილი რომ ავიდა იმ ბორცვის თავზედ, საიდგანაც ბაბილონი ხელის გულსავითა სჩანდა, გრძნობამიხდილი დაეცა; გონებაზედ მხოლოდ იმისთვის მოდიოდა, რომ ცრემლი ეღვარნა და სიკვდილი მოეხმო. ბულოს ქვეყანაზედ ყველაზედ მშვენიერის დედაკაცისა და პირველ დედოფლის შავისა და ბნელის ხვედრის ფიქრებში გართულმა წამოიძახა:

— რა არის ადამიანის სიცოცხლე? ოჰ, სათნოებავ! რა სიკეთე დამდე? ორმა დედაკაცმა ულირსად მოჰატყუა და მესამე-კი, რომელიც სრულიად უდანაშაულოა, უბრალო და უმშვენიერესი სხვებზედ, ჩემის საბაბით სიცოცხლეს უნდა გამოესალმოს!? ყველა ის, რაც-კი კარგი მარგუნა ბედმა, სათავე გახდა ჩემის უბედურებისა. ბედნიერების მწვერვალს მხოლოდ იმიტომ ავაღწევდი ხოლმე, რომ უკანვე დავცემულიყავ საშინელს უფსკრულს უბედურებისას. მეც რომ ისეთივე ბოროტი ვიყო, როგორნიც სხვები არიან, იმათსავით ბედნიერი ვიქმნებოდი.

ამ მწუხარე ფიქრებით დაძლეულმა, ცრემლით თვალებ-დასიებულმა, სახით გაფითრებულმა და სულით სასოწარკვეთილმა ზადიგმა განაგრძო თავისი გზა და გაეშურა ეგვიპტისაკენ.

### IX

### ნაცემი დედაკაცი

ვარსკვლავენი წინ უძღოდნენ ზადიგს. იგი ჰსიამოვნებდა იმ უშველებელის ქვეყნის სფეროებით, რომელიც ისე სუსტ ნაპერწკლად უჩნს ადამიანს, მაშინ როდესაც დედამიწა-კი, მხოლოდ შეუმჩნეველი წერტილი მთელს ბუნებაში, კაცის ანგაარებას რაღაცა დიდებული და კეთილშობილი ჰგონია.

ზადიგი ადამიანიშვილთ ადარებდა იმ მწერებს, რომელნიც ტალახის პაწია გუნდზე შემსხდარან და ერთმანეთის შთანთქმაში არიან. ეს ფიქრი თითქმის მწუხარებასაც-კი უადვილებდა, უმსუბუქებდა, რა-კი წარმოიდგენდა თავისსა და ბაბილონის არარაობას. სული მისი დაუსრულებელისკენ მიისწრაფოდა, უარ ეყო გრძნობა ამ ქვეყნიური და ბუნების შეუშლელს წესსა და რიგს მისჩერებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის „Gaulois“-ას კორრესპონდენტი სწერს:

იმ უბედურების დღეს, დილით, მოვიდა მეიერლინგს კრონ-პრინცთან ერთი აფიცერი, კარგა ნაცნობი რუდოლფისა და კარგი გვარიშვილის კაცი. აფიცერი ძალიან აღელვებული იყო და იმასა და ერცჰერცოგს ცხარე ლაპარაკი მოუვიდათ. ერცჰერცოგი დიდის გვარიშვილის კაცებს მუდამ ისე ექცეოდა, როგორც ტოლსა და ამხანაგებს, და ამიტომ პირველმა სთხოვა აფიცერს, ჩვენ შორის საქმე დუელმა გადასწყვიტოსო. აფიცერიც დათანხდა და იქვე, უსეკუნდანტებოდ და უარარაოდ გადასწყვიტეს ებრძოლნათ. დადგნენ პირის-პირ და ერცჰერცოგმა დაიძახა: აბა, ვესროლოთ ერთმანეთს დამბაჩებიო. თავად არ გაისროლა. აფიცერმა დასცალა დამბაჩა და კრონ-პრინცი იქვე დაეცა უსულოდ. აფიცერი დაბრუნდა ვენაში და გამოცხადდა სასამართლოში. დამნაშავე შეიპყრეს, მაგრამ იმპერატორმა ბრძანა, რომ სკანდალის ასაცილებლად ეს აფიცერი გაანთავისუფლეთ და შვილის სიკვდილს გულის ფრიალს დავაბრალებო.

ზოგიერთი ფრანგული და ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ, რომ დუელის მიზეზი ქალი იყოვო. ყველა უბედურების თავი და თავი მიზეზი დედაკაციაო. Pall „Mall Gazette“-ი ამბობს, რომ პრინცი გაიტაცა ერთმა დიდის გვარისა და ჩამომავლობის გასათხოვარმა ქალმა და ამ გატაცების შემდეგი იყო პრინცის სიკვდილიო. როგორც გუშინ მოვიხსენიეთ, „Figaro“-იც იმ აზრისაა, რომ დედაკაცის სიყვარულია ამ საქმეში, ხოლო იმ დედაკაცისა-კი არა, რომელსაც ზემოხსენებული ინლისური გაზეთი ასახელებს. „Figaro“-ს კორრესპონდენტი ამბობს, რომ ვენის საზოგადოებას დიდად აკვირვებს, სად გაჰქრა უცბად ვენიდამ ბარონესსა მარიამ ვ..., მით უმეტეს, რომ ეს ქალი სამშაბათს დაიკარგა, სწორედ უბედურების წინა დღესაო. ამ ბარონესას ოჯახი ამბობს, რომ მარიამი ამა და ამ დარბაზშია, ვენის ახლოვო, მაგრამ იქ ბარონესსა არავის არ უნახავს.

— ვენაში უეცრივ გარდაცვლილა ბარონესსა მერი ვეჩერა. ამბობენ, ვითომ ბარონესსამ თავი მოიწამლა მეიერლინგშიო. ამ ამბავსა და კრონ-პრინცის გარდაცვალებას ერთმანეთს უკავშირებენ. ბარონესსა ვეჩერა 14 წლისა იყო და ძალიან მოსწონდათ ვენის დიდ-კაცობაშიო. მერი, მართალია, ძალიან ლამაზი არ აყო, მაგრამ მაინც ყველა აქცევდა ყურადღებას იმის სიყმაწვილეს, შავგვრემანობას, ცეცხლის-მფრქვევს შავს თვალებს და იმის სიცოცხლით სავსე ბუნებასაო. იმისი მამა დიპლომატობის სამსახურში იყო. დედა სტამბოლელ ვაჭრის ქალია. ბარონ ვეჩერას გარდაცვალების შემდეგ იმისი ქვრივი ცოლი თავისის ასულით ვენაში დაბინავებულა. კრონ-პრინცი რუდოლფი დადიოდა ბარონესას სახლში, საცა ბევრი სხვა სტუმრებიც იკრიბებოდნენ თურმე. არავინ არა იცოდა-რა, თუ კრონ-პრინცსა და ყმაწვილ ქალ შორის სიყვარული იყო, რადგან ბარონესა მერის საქმრო ჰყვანდა კიდეც არჩეული. მხოლოდ იქით კვირას იმპერატორს ფრანც-იოსებსა და იმის შვილს რუდოლფს დიდი ლაპარაკი მოუვიდათ: რუდოლფი სთხოვდა მამას, ნება მომეცი ჩემს მეუღლეს განვექორწინოვო. იმპერატორმა უარი უთხრა და ნებაც არ მისცა. რუდოლფი გაჯავრებული წავიდა მეიერლინგს. ავს გუნებაზედ იყო. სამშაბათს მივიდა მეიერლინგს ვიღაც შავად ჩაცმული დედაკაცი. ეს დედაკაცი დიდხან ელაპარაკა რუდოლფს და მერე ვენაში დაბრუნდა. კრონ-პრინცი და ის უცნობი დედაკაცი — ვინ იცის იქნება ბარონესა მერის დედაც იყო — ძალიან აღელვებულები განშორდნენ ერთმანეთს. ყოველივე ეს ამბავი მოთხრობილი იყო მიუნჰენის გაზეთში. ეს ნომერი ამ გაზეთისა ვენაში მაშინვე აკრძალესო.

**საფრანგეთი.** პრინც რუდოლფის გარდაცვალების ამბავმა ალარავინ მოაცალა, რომ საფრანგეთის მდგომარეობისათვისაც ყური ეგდოთ. საფრანგეთში-კი, სწორედ იმ დროს, როცა ავსტრი-ვენგრიას ისეთი დიდი უბედურება ეწვია, ძალიან გაუჭირდა საქმე ფლოკესა და იმის სამინისტროს. საფრანგეთი, ანუ უკეთ ვსთქვათ, პარიჟი იმ დროს ნაომარ ალაგსა ჰგვანდა. გამარჯვებული იყო ბულანჟე და იმისი მომხრენი, ხოლო დამარცხებული ფლოკე და რესპუბლიკელობა. მაგრამ ყოველთვის არ ითქმის, რომ „ვაი დამარცხებულთაო“. ტაციტისა არ იყოს, ორ მებრძოლში ხან საძაგელი ის არის, ვინც გაიმარჯვებს ხოლმე. ბულანჟესაც ასე მოუვიდა 15 იანვარს არჩევანების შემდეგ. ბულანჟემ არჩევანებზე კი გაიმარჯვა, მაგრამ რა გამოვიდა? რას იზამს მერე? ვერაფერს. პირველსავე კრებაზე, რომელზედაც ფლოკემ წარუდგინა პროექტი თემ თემად არჩევანების აღდგენისა, შეწყნარებულ იქმნა პალატის მიერ. მართალია, ეს შეწყნარება დიდის ხმის უმეტესობით არ გამოითქვა, მაგრამ ისიც დიდი ამბავი იყო. ბულანჟეს არჩევანებით გაშტერებულმა პარიჟმა, გენერლის გამარჯვებით დამთვრალმა და დარეტიანებულმა ხალხმა კიდევ იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ მხარი მისცა სამინისტროს და მთავარ მინისტრს ფლოკეს გული გაუკეთა. შემდეგმა კენჭის ყრამაც, რომელიც მოჰყვა ამ პირველ კენჭის ყრას, ფლოკეს მისცა გამარჯვება დეპუტატთა პალატაში. ამ პალატას განსახილველი აქვს ბიუჯეტი, ამასაც უთუოდ შეიწყნარებენ და სააღდგომოდ დროებით შესწყდება პალატის კრებანი სეკტემბრამდე. ამ სახით საფრანგეთი დამშვიდებული დახვდება მსოფლიო გამოფენის საქმეს. იდლესასწაულებს რევოლიუციის ასის წლის იუბილეს და ქვეყანას ერთხელ კიდევ გააკვირვებს იმითი, რომ თვალ და თვალ დაანახვებს, რა შეუძლიან ისეთს წინწასულს, მხნესა და მომჭირნე ერს, როგორიც არის საფრანგეთი. მერე? მერე დადგება შემოდგომა — დრო საზოგადო არჩევანებისა და მანამდე, ვინ იცის, ეხსომება-ღა ვისმე ბულანჟე თუ არა. თუნდა ახსოვდეთ, ახლად შეწყნარებული კანონი თემ-თემად არჩევანებისა ფრთას შეჰკვეცს საპლებისციტო და სადიქტატორო სურვილსა. ყოველივე ისე გათავდება, როგორც სასურველი უნდა იყოს ყველა ქვეყნის წარმატების მოკეთისა და საფრანგეთის მეგობრისათვის. ანკი რა უნდა მოხდეს ისეთი საფრანგეთში, რომ სანანურად გაუხდესთ ამ ქვეყნის უკეთესს მამულიშვილთა? თუნდა რომ ბულანჟემაც გაიმარჯვოს საზოგადო არჩევანებზე, ის ისეთი კაცია, რომ ერთს თთვეზევე გამოაშკარავდება იმისი უძლურება და ისევე მალე შეაქცევენ იმასაც ზურგს, როგორც ბევრს სხვას შეაქციეს ზურგი იმათ, ვინც მუდამ წინ იწევს, მუდამ უკეთესობას ეძებს, მუდამ წინააღმდეგია მთავრობისა, როგორიც უნდა იყოს მთავრობა. ამისთანებისთვის ყოველ-გვარი მთავრობა, გინდა რადიკალებისაგან იყოს შემგარი, გინდა სულ როშფორებით იყოს სავსე, უპირველეს ყოვლისა პოლიციაა, შემავიწროებელი დაწესებულებაა, თავისუფლების შემზღუდველი ინსტიტუტია. ხოლო, რადგან უამ-ინსტიტუტოდ სახელმწიფოს ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია, ჯერ-ჯერობით მაინც, შეიძლება ბულანჟეს სამინისტროცა სცადონ და კლემანსოსიც, მაგრამ ვერც ერთმა-კი ვერ მოიგოს გული იმათი, ვინც ამ ქვეყნადვე ლამის ზეციურის სამოთხის ნახვასა და დამყარებას. ვინ იცის, იქნება იქამდინაც იაროს პარიჟის რადიკალობამა და ოპოზიციის უმწვერვალესმა დასმა, რომ ბოლოს ფელიქს პიასთანა აზრების კაციც გამონახონ და ამას შეადგენინონ სამინისტრო, მაგრამ ისიც დიდხანს ვერ გაუძლებს იმათ, ვისაც ჰგონია, რომ მთავრობამ უნდა მოგვანიჭოს ყველა ქვეყნიური სიკეთე, სიმდიდრეცა და სხვა ბედნიერებაცაო მთავრობას მარტო თავის თავად, მარტო თავის მოსურვებით, რომ ამდენი რამ შეეძლოს, აქამდე ასჯერ დაამარსებდა ისეთს სამოთხეს, საცა არც ტირილია, არც მწუხარება, არცა დიდპატარაობა, არც სიღარიბე და სიმდიდრე, საცა ყველანი ბედნიერნი არიან, კმაყოფილნი და ნეტარებით სავსენი. მაგრამ ეს ხომ სიზმარია და მხოლოდ ოცნება...

## წვრილი ამბები

### შვეციის მეფის ლექსი პროზად.

ჟურნალ „Nineteenth lentury“-ი ნოემბრის წიგნში დაბეჭდილია პროზად დაწერილი ლექსი შვეციის მეფის ოსკარისა: „მეგობრის მიმართ“. ეს ლექსად მეტად კარგია, მეტად მშვენიერი, არც მალიან გრძელი და ამიტომ სრულად მოგვყავს:

„შემოდგომის ერთს დილას, როცა მზემ ის-ის იყო გამოანათა ცისკიდურიდგან და სხივებს ნოტიო ჭაერი ჯერ არ გაეთბო, გზასთან დავინახე რამდენიმე არყის ხე გაყვითლებულის ფოთლებით. მათი დღე დათვლილი იყო; მათი ამყვავებელი, ხოლო მცირე-ხნოვანი ცხოვრება მშვენიერი და ლამაზი იყო: ამ ცხოვრებას ძირი გაედგა ჩრდილოეთის ტურფა ბუნებაში...

„როცა გაზაფხულის მზის სხივმა ყინული და თოვლი გაადნო, წყალთ მხიარულად დაიწყეს ჩანჩქარი და ტოროლამ ტურფად მორთო გალობა, ცივს ულორტებზე თავი ამოჰყო ნაზმა კვირტმა და გაზაფხულის მშვენიერს ჰაერში გაიშალა. ხეები იმდის მწვანე ფერით შეიმოსა, ვიდრე ზაფხული მეფობდა ჩრდილოეთს, ეს ოქროს-თმიანი ღმერთა, ისინიც ჰყვაოდნენ და ჰსიამოვნებდნენ თავისისავე სილამაზით. გულ-უბრყვილოდ ელერსებოდნენ ფოთლები ერთმანეთს და უჩრდილებდნენ ცხარე მზით მოქანცულს მგზავრებს. ეხლა-კი, როცა გაზაფხული — საუბედუროდ, მეტად ხანმოკლე ჩრდილოეთს! — გაფრინდა, შეხედე, როგორის სიმშვიდით, როგორის დიდ-სულოვანებით იტანენ თავისს ხვედრსა და მწვანე სამკაულს განიშორებენ. დამცირებულნი და მწუხარენი თითქოს ეხლაც-კი ჰსიამოვნებენ რიყრაყითა და ახლად ამომავალის ცისკრით, თითქო ნაზად ეჩურჩულებიან მგზავრს, რომელიც კვირის დასვენების შემდეგ ჩვეულებრივს საქმესა ჰკიდებს ხელს, და გულში არა ამ ქვეყნიურს ფიქრს უღვიძებენ და აოცებენო.

---

ხოლო როცა ამის შემდეგ გონებაზედ მოვიდოდა და გულის ცემას იგრძნობდა, მოაგონდებოდა ხოლმე, რომ იქნება ეხლა ასტარტა ჩემის მიზეზით მკვდარიაო, თვალთ უბნელდებოდა და მთელს ბუნებაში მომაკვდავ ასტარტასა და მწუხარე ზადიგის მეტს აღარაფერსა ჰხედავდა.

რამდენიც უფრო ფილოსოფიასა და თავისს მწუხარებას აყოლებდა გულს, იმდენი ეგვიპტეს საზღვრებს უახლოვდებოდა. იმისი ერთგული მსახური უკვე პირველს საზღვარს ახლო მდებარე სოფელში იყო და თავისის ბატონისათვის ბინას ჰშოულობდა. ზადიგი ამ დროს დასეირნობდა ბაღებში, რომელიც იმ სოფელს ერტყა. სეირნობის დროს დაინახა დიდს, შარა გზას ახლო თვალ-ცრემლიანი დედაკაცი, რომელიც ცასა და მიწას იწვევდა მწედ და მფარველად, და მამაკაცი, რომელიც ბრაზ - მორეული უკან გამოჰკიდებოდა მტირალს. ზადიგმა იმათს ლაპარაკს შეატყო, რომ ეგვიპტელი იჭვიანი იყო და ქალი-კი მოღალატე. როცა კარგა დააცქერდა დედაკაცს, რომელიც უბედურს ასტარტასა ჰგვანდა, სიბრალულით აევსო გული და შეეზიზღა ეგვიპტელის საქციელი.

— მომეხმარეთ, მიშველეთ, ეძახოდა დედაკაცი ქვითინით ზადიგს: დამიხსენით ამ ბარბაროსისაგან, სიკვდილს გადამარჩინეთ!..

ამ ძახილის პასუხად ზადიგი ქალსა და კაცს შუა ჩავარდა. ეგვიპტური იცოდა და იმ ენით მიჰმართა გაშმაგებულს კაცს:

— თუ ერთი წვეთი პატიოსნება მოგეპოვებათ, პატივი ეცით მშვენიერებასა და სისუსტეს დედაკაცისას. განა საკადრისია, რომ აგრე შეურაცხჰყოფთ საუკეთესო ქმნილებას ბუნებისას, რომელიც თქვენთა ფეხთა ქვეშ არის დაცემული და თავისს დასაფარავ იარაღად მარტო-ოდენ ცრემლები-ღა აქვს?

— აა! შენც ამისი საყვარელი ხარ! შენზე ამოვიყრი სუყველას ჯავრსაო! შესძახა ეგვიპტელმა, თავი დაანება დედაკაცს, რომლისათვისაც თმაში წაევლო ხელი, იტაცა ლახვარს და ზადიგის მოკვლა უნდოდა. ყმაწვილს კაცს გონება არ დაუკარგავს, დაუჭირა შეიარაღებული ხელი, კარგა ხანს იძიძგილავეს და ბოლოს ლახვარი შუაზე გადატყდა. ეგვიპტელმა ხმალი ამოიღო და ზადიგიც ასევე მოიქცა. დაიწყო ბრძოლა. ერთმა ასჯერ მოუქნია, მეორემ დიდის მოხერხებით აიცდინა.

დედაკაცი-კი ამ დროს იქვე ბელტზედ იჯდა, თმას ისწორებდა და თვალს ადევნებდა მებრძოლთ. ეგვიპტელი ღონიერი იყო თავისს მეტოქეზედ, ზადიგი-კი უფრო მოხერხებული, უფრო კისკასი. ყმაწვილი კაცი გულმშვიდად იბრძოდა, თავი მისი ხელმძღვანელი იყო ხელებისა, ეგვიპტელი-კი ჰბრაზობდა და გაცხარებით და თავ-გამოდებით იქნევდა ხმალს. ზადიგმა ხმალი დააგდებინა. შმაგს ეგვიპტელს უნდოდა სცემოდა, მაგრამ ყმაწვილმა კაცმა აღარ აცალა, წაავლო ხელი, დასცა მიწაზედ, დააბჯინა გულზე ხმალი და უთხრა, რომ გაპატიებ, თუ რიგიანად მოიქცევიო. ამ დროს ეგვიპტელმა ხანჯალი ამოიღო და დასჭრა ზადიგი. ამ უმადურობით გაჯავრებულმა ზადიგმა დასცა ხმალი გულში და გაუგმირა. ეგვიპტელმა ერთი-კი საშინლად შეჰკივლა და იქვე სული დალია.

ზადიგი მიუახლოვდა დედაკაცს და წყნარად უთხრა:

— იძულებულ ვიყავი მომეკლა; მე თქვენი მაგიერი გადავუხადე, დაგიხსენით ისეთის უწყალო და შეუბრალებელის კაცისაგან, რომლისთანაც ჩემს თვალს ჯერ არ უნახავს. ეხლა რა გნებავსთ ჩემგან, ბატონო?

— შენი სიკვდილი, წყეულო და შეჩვენებულო, შენი სიკვდილიო! — შესძახა დედაკაცმა: — შენ საყვარელი მომიკალი და ღონე რომ შემწევდეს, ასო-ასო დაგგლეჯავდი.

— ბატონო-და ახირებული საყვარელი გყავდათ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა თქვენს ცემაში იყო და მეც მოკვლას მიპირებდა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენსავე თხოვნაზედ ჩამოგეშველეთ და თქვენი პატივება ვსთხოვე.

— მეც ის მინდოდა, რომ ეცემნაო! — გაჰკიოდა დედაკაცი: — აგეთი ცემა დავიმსახურე, იჭვს ულვიძებდი გულში და ახად სჩადიოდა, რომ მცემდა. შენ რომ ჰყოფილიყავ იმისს ადგილას, შენც ისე მოიქცეოდი!

განრისხებულმა და გაოცებულმა ზადიგმა ამის მეტი ველარა უთხრა-რა:

— სილაზის მიუხედავად, ღირსი ხართ, ქალბატონო, რომ ერთი კარგა მიგზურგოთ, მაგრამ შრომად არა ჰღირსო.

ამ სიტყვებს შემდეგ ზადიგი აცოცდა თავისს აქლემზედ და განაგრძო გზა. არ გაევლო რამდენიმე ნაბიჯი, რომ უკანიდგან მოესმა ოთხის ბაბილონელ მდევარის ფეხის ხმა. ერთმა ამ ბაბილონელთაგანმა, დაინახა თუ არა დედაკაცი, შესძახა:

— ეს არის, ესა, ძალიან ჰგავს იმ სურათს, რომელიც ჩვენ გვაჩვენესო.

უსულო კაცის გვამისთვის ყურიც არ უგდიათ ამ კაცებს, პირდაპირ დედაკაცს სტაცეს ხელი. ამ დედაკაცმა კვლავ დაუწყო ზადიგს მუდარა:

— ერთიც მომეხმარე, სულ-გრძელო გარმიანელო. ბოდიშსა და შენდობას ვითხოვ წელანდელ შეურაცხყოფისათვის. დამიხსენი და შენ დაგეკუთვნები სიკვდილამდე.

მაგრამ ზადიგს გული ველარ მოუბრუნა:

— მოატყუე სხვები და მე-კი ველარ, ველარ გამაცრუებ, კმარაო! — შესძახა ყმაწვილმა კაცმა.

ამასთან დაჭრილიც იყო და სისხლი სდიოდა; უნდა ეშველნა რამე თავისთვის; იმ ოთხ ბაბილონელის ნახვამ ხომ უფრო ააჩქარა, რადგან ეჭვიც არა ჰქონდა, რომ მეფის მოაბდარის მიერ გამოგზავნილი მდევრები იქნებიანო. იგი სოფლისაკენ გაუდგა გზასა და თან უკვირდა, ბაბილონელთ დედაკაცი რად წაიყვანესო.

ორანი

(შემდეგი იქნება)

„მამავ! ადამიანის შვილსაცა აქვს თავისი გაზაფხული, თავისი ზაფხული და შემოდგომა. გაზაფხული სიჭაბუკეა, ზაფხული—მხცოვანება, შემოდგომა მოხუცებულობა. ხოლო ადამიანმა, შეიძლება, გაზაფხულის დროს შემოდგომა გამოიაროს, შემოდგომის დროს გაზაფხულის მზის მაცოცხლებელი სხივი იგრძნოს. მწუხარებას დილის საღამოდ, გაზაფხულის შემოდგომად გადაქცევა შეუძლიან. ცხოვრების ხე, ქარიშხალით წამოხრილი, დიდის წვალებით ისწორებს წელს, არა უკეთრივ, არა ერთბაშად...

„მაგრამ, მადლობა ღმერთს, შეიძლება შემოდგომის გულშიაც ჩაისხდოს გაზაფხულმა. შეჰხედეთ ამ მშვენიერს არყის ხეებს! მზად არიან მიეცნენ განსვენებას, გაატარონ გრძელი ზამთრის ღამე და ამასთან არა დრტვინავენ, მადლიერნი ზაფხულის ცხოვრებით, რადგან იმედი აქვსთ, რომ, როცა ზამთარი თავისს ბრაზს დაანთხევს, კვლავ შეუდგებიან ცხოვრებასა ახალსა, სიხარულსა და სიამოვნებასა ახალსა. ასე რომ იმათი სიცოცხლე დაუსრულებელი, შეუწყვეტელი ჯაჭვია დაბადებათა და სიკვდილთა.

„ჩვენა? ჩვენ-კი, უმადურნი, როცა რაიმე საქმე სასურველად არ გაგვიკეთდება, ვდრტვინავთ და ზე აღვიმართებით განგების ბრძნულ გარდაწყვეტილებათა წინააღმდეგ. იმდენად თავ-მოყვარენი ვართ, რომ ქვეყანას ჩვენისავე ოცნებით შევიქმნით ხოლმე და იგი ნამდვილზედ უფრო მშვენიერი, უფრო ლამაზი, უფრო ტურფა მიგვაჩნია.

„განა ჩვენს გულში არა სცოცხლობს აღთქმა აღდგომისა და ახალის გაზაფხულისა, ამ ქვეყნიერ შემოდგომასა და სამარისებურ ზამთარს შემდეგ? განა ეს აღთქმა ყველაფერზედ უძვირფასესი არ არის, რითიც-კი ჰსარგებლობენ სხვა არსებანი ბუნების სამეფოში? განა ჩვენ იმისი ნიჭი არა გვაქვს მომადლებული, რომ ერთმანეთს თანაუგრძნოთ და ხელი-ხელს ჩაკიდებულნი განვლოთ ცხოვრების გზა სიყვარულითა და მეგობრობით? და განა ეს ნიჭი უფრო უფასო არ არის იმაზედ, რასაც-კი ერთად-ერთ ბედნიერებად სთვლის ამ ქვეყნად მხოლოდ სიამოვნების მძებნელი ადამიანი. რაღად ვიკვეთავთ სასოს? გაზაფხული, რომელიც სამარისებურ ზამთარს მოჰყვება, აღარ გაივლის, აღარ შეგვეცვლება, რადგან საუკუნოა და უფრო მშვენიერი ამ ქვეყნიურს ათასს გაზაფხულზედ. მზე ღმერთია და ჩვენ იმისი ანგელოზები ვიქმნებით.

„უნდა გვრწამდეს, რომ ამ ქვეყნად შეძენილი მეგობრობა იქაც გაგვყვება თანა? რატომ, რატომ არ უნდა გვჯეროდეს, რომ ეს მეგობრობა უფრო განმტკიცდება კიდეც, უფრო გაძლიერდება, ვიდრე აქ იყო? დიაღ, მეგობრობა, ეს შემაერთებელი ყველა საუკუნოს ადამიანებისა, იგი მეგობრობა, რომლითაც გატობრიობა სცხოვრებდა, ჰშრომობდა და იბრძოდა ერთის საერთო აზრის მისაღწევად, თუმცა-კი სხვა-და-სხვა გზით, ეს მეგობრობა არ მოგვშორდება, არა, როცა სამზღვარს მივაღწევთ, უფრო ბრწყინვალე დილას ვიხილავთ და გაზაფხულის მომჯადოებელს გალობას მოვისმენთ. იგი თან გაგვყვება იმ საუკუნო გაზაფხულის ადგილს და ყველაზედ უძვირფასესი და უსასიამოვნესი სახსოვარი იქმნება ჩვენის წარსულის ცხოვრებისა ამ ქვეყნად, ჩვენ მიერ დედამიწაზედ გამოვლილ ცივის შემოდგომისა".

# დეპეშა

1 თებერვალი

**პეტერბურგი.** სენატმა გაარჩია საქმე გაზეთ „Сѣверный Кавказъ"-ის რედაქტორისა, ბ-ნ ევსეევისა, რომელსაც ასი მანეთი ჯარიმა გააწერა სამოსამართლო კრებულის წევრის ბირდინის შეურაცხყოფისათვის. სენატმა გაამართლა ბ-ნი ევსეევი. იმავე ბირდინის საქმის გამო სენატმა დაამტკიცა განაჩენი რედაქტორ ფრენკელის შესახებ, რომელმაც 25 მანეთი ჯარიმა უნდა გადიხადოს.

**ვენა.** იმპერატორსა და იმპერატრიცას ხალხი მიეგება დიდის მწუხარებითა და თანაგრძნობით, თუმცა აქაიქ მოახდინეს დემონსტრაციები ტისას წინააღმდეგ.

**ბერლინი.** საცა არის, კონფერენცია შეიკრიბება სამოას კუნძულების საქმის გამო. ინგლისსა და გერმანიას შუა სრული თანხმობა ჩამოვარდა.

**ბუქარესტი.** რუმინიის მთავრობამ განაძევა სამეფოდგან 63 რუსის ქვეშევრდომი, რომელნიც უბინადროდ დახეტიალებდნენ.

**ტოკიო.** იაპონიის იმპერატორმა დღეს გამოაცხადა ახალი კონსტიტუცია. ეს დღე დიდის ამბით იდღესასწაულეს. ახალი კონსტიტუცია გერმანიისას ჰგავს, პარლამენტში ორი პალატა იქნება: მაღალის წოდების პალატა, რომლის წევრნი ზოგი არჩეული იქნება და ზოგს თვით იმპერატორი, მეორე ქვემო პალატა დაჰნიშნავს და რომელშიაც სამასი წევრი იქნება. არჩევანის უფლება ექნება ყველას, ვისაც ოცი წელიწადი შესრულებია და იხდის წელიწადში 25 დოლარს გადასახადს. კონსტიტუცია იძლევა სარწმუნოებისა, წერა-სიტყვისა და ყრილობის თავისუფლებას. პარლამენტს საკანონ-მდებლო უფლება აქვს და ვალად ედება თვალ-ყური ადევნოს საფინანსო საქმეებს. მოსამართლეების გამოცვლა და გადაყენება შესაძლოა მხოლოდ კანონ-მდებლობითის წესით.

პეტერბურგის ბირჟა, 31 იანვარი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 49 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 150¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 14 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 269½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 251 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.
თებერვალი 28 დღით არის.

**2 დღე ხუთშაბათი.** მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. კათოლ. მირქმა უფლისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-14 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—57, ჩადის 5—32. მთვარე 15 დღისაა.

**3 დღე პარასკევი.** სიმონ ღვთისმიმრქმელისა და ანნა წინასწარ-მეტყველისა. კათოლ. ცელერინასი. სომეხ. წინა დღე წმ. სარქისის ეკკლესიისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—55, ჩადის 5—33. მთვარე 16 დღისაა.

**4 დღე შაბათი.** ღირს. ისიდორესი. კათოლ. ანდრიასი. სომეხ. წმ. მამათა სარქისისა, შვილისა მარტიროზისა და სხ. წმ. მამათა. მაჰმად. მე-16 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 5—34, მთვარე 17 დღისაა.

**5 დღე კვირა.** წმ. მოწ. აღათისი. კათოლ. აღათისიე. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-17 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—52, ჩადის 5—36. მთვარე 18 დღისაა.

**6 დღე ორშაბათი.** ღირს. ვუკოლესი კათოლ. ბოგდანისა. სომეხ. შვილთა და შვილიშვილთა წმ. გრიგოლ განმანათლებელისა სომეხთათა: არისტაკესი, ვართანასი, გრიგოლისა, დანიელისა და იუსიკასი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 5—37. მთვარე 19 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი | 10 | „ |
| „ 2 „ | 9 | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


ისყიდება

თესლეულობა

ე. იმმერისა

და იმისის

შვილის

სავაჭრო სახლში.

ამ სავაჭრო სახლიდგან ეზიდებიან თესლეულობას მათის იმპერატორებითის უმაღლესობის კარისათვისაც.

ადრესი: მოსკოვს, მიასნიცკი ქუჩა, ობიდინის სახლში.

მსურველს გაეგზავნება დიდ-ძალ სურათებიანი კატალოგი თესლეულობისა: ბოსტნეულობისა, მინდვრისა, ვარდისა და ყვავილისა, თუ გამოგზავნის 35 კაპ. ფოსტის მარკებით.

(15—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი ალ. ღლონტი ... | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | „ | 30 |
| ვაზის ობი | „ | 15 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პოსტოლი პილატეს მეუღლის წერილითავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ხუთი ამბავი, საუმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |



სააოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 › | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 › | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 › | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 › | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 › | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესაცვლელია ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოთი 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბანკ-თავადისა, № 5.